

## THE UNKNOWN FACET OF MIKAEL MODREKILI'S ACTIVITY

მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის უცნობი სფერო

**Lela Khachidze**

Doctor of Philology, Head of the Department of Georgian Language and Literature at Tbilisi Theological Academy and Seminary, Tbilisi, Sioni st., # 13/40, 0105, Georgia, Associate Professor at Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, I. Chavchavadze Ave.1, 0128, Georgia, +995599512939, lela.khachidze@tsu.ge <https://orcid.org/0000-0003-4141-7825>

**Abstract.** Mikael Modrekili is one of the greatest figures in our history. In the years 978-88, at Shatberdi monastery, he compiled "Iadgari Neumes", one of the unique specimens of Christian culture. As an editor he did a great deal of job. He is also the author of a number of hymns preserved in this collection.

In this paper, we deal with Mikael Modrekili's hymn dedicated to "All Saints", shedding light on a previously unknown facet of his work.

The study is based on the available scholarly literature on calendar indicators and the publication of this hymn itself.

As a result of the study, the following circumstances have been identified:

This hymn by Mikael Modrekili is actually a "Calendar" containing 425 commemorations. These commemorations are searched and grouped by Mikael Modrekil himself.

Mikael Modrekili's "Calendar" is much more extensive than previous one or contemporary collections of the same kind.

This "Calendar" is dedicated to the commemoration of "All Saints", which was a common practice in Georgian church tradition.

Unlike other analogous collections, Mikael Modrekili sometimes dedicates the hymns to the list of saints in addition to commemorations.

This "Calendar" also includes commemorations of Georgian martyrs. Mikael Modrekili summarizes their accomplishments briefly and to the point.

One of the main sources of Mikael Modrekili's "calendar" is the ancient hagiographic texts known as "Keimena".

As a hymnographer and a liturgist, Mikael Modrekil appears to have put a lot of effort in the creation of this important monument.

**Key words:** Mikael Modrekili, "Iadgari Neumes", "All Saints", "Calendar", "Keimena".

**ლელა ხაჩიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, სიონის ქ. # 13/40, 0105, საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული საქართველო, პროფესორი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, #1, 0128, +995 599 512939, lela.khachidze@tsu.ge <https://orcid.org/0000-0003-4141-7825>

**აბსტრაქტი.** მიქაელ მოდრეკილი ჩვენი წარსულის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა. შატბერდის მონასტერში, 978-988 წლებში, მან შეადგინა ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში - „ნევმირებული იადგარი“. მან, როგორც რედაქტორმა, უდიდესი მუშაობა გასწია. ის ამ კრებულში დაცული საგალობლების ჯგუფის ავტორიცაა.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილია მიქაელ მოდრეკილის „ყოველთა წმიდათადმი“ მიძღვნილი საგალობლები, რამაც გამოავლინა მისი მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფერო.

კვლევა ემყარება კალენდარული მაჩვენებლების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და თვით ამ საგალობლის პუბლიკაციას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

მიქაელ მოდრეკილის ეს საგალობელი, ფაქტობრივად, წარმოადგენს „კალენდარს“, რომელიც შეიცავს 425 ხსენებას. ეს ხსენებები მოძიებული და დაჯგუფებულია თავად მიქაელ მოდრეკილის მიერ.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდარი“ ბევრად ვრცელია, ვიდრე წინადროინდელი ან მისი თანამედროვე ამავე ტიპის კრებულები.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდარი“ ეძღვნება „ყოველთა წმიდათა“ ხსენებას, რომელიც გავრცელებული ყოფილა ქართულ საეკლესიო ტრადიციაში.

მიქაელ მოდრეკილი, სხვა ანალოგიური კრებულებისაგან განსხვავებით, ჩამოთვლასთან ერთად, ზოგჯერ საგალობლებსაც უძღვნის დასახელებულ წმინდანებს.

„კალენდარში“ შესულია ქართველ მოწამეთა ხსენებებიც. მიქაელ მოდრეკილი მოკლედ და არსებითად განსაზღვრავს მათ ღვაწლს.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდრის“ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს „კიმენის“ სახელით ცნობილი უძველესი ჰაგიოგრაფიული ტექსტები.

მიქაელ მოდრეკილს დიდი შრომა გაუწევია ამ მნიშვნელოვანი ძეგლის შესაქმნელად, როგორც ჰიმნოგრაფს და როგორც ლიტურგისტს.

**საკვანძო სიტყვები:** მიქაელ მოდრეკილი, „იადგარი“, „ყოველთა წმიდათა ხსენება“, „კალენდარი“, კიმენი.

**შესავალი.** მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. მასში თავმოყრილია მისი შედგენის დროისათვის ქართულ ენაზე არსებული მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი - როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური. ამ კრებულის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ საგალობლებთან აღნიშნულია მაშინდელი სანოტო ნიმუშები - ნევმები. მიქაელ მოდრეკილი ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორიცაა. „ყოველთა წმიდათადმი“ მიძღვნილი საგალობლების ჯგუფის კვლევა მისი მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფეროს გამოვლენის საშუალებას იძლევა. მასში დაცულია 425 კალენდარული ხსენება, რომელთა შესახებ ავტორი საგანგებოდ მსჯელობს საგალობელზე დართულ „ანდერძში“. ეს საგალობელი, ყველა ნიმუშით, წარმოადგენს ლიტურგიკულ ძეგლს - „კალენდარს“, რომლის შესადგენად მიქაელ მოდრეკილს დიდი შრომა გაუწევია.

ამ კრებულის შედარებამ წინადროინდელ და თვით მიქაელ მოდრეკილის თანამედროვე ტრადიციასთან მნიშვნელოვანი სიახლეები გამოავლინა, როგორც მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის, ისე ქართული ლიტურგიკული ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით.

**მეთოდი.** ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

**შედეგები.** მიქაელ მოდრეკილის „ყველა წმინდანისადმი“ მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის უცნობი სფერო. მის მიერ შედგენილი „კალენდარი“ ძველი ქართული ლიტურგიკული მწერლობის საყურადღებო ნიმუშია.

**დისკუსია.** მიქაელ მოდრეკილი თვალსაჩინო წარმომადგენელი „მეხელთა“ ბრწინვალე თაო-ბისა X საუკუნეში. მან, შატბერდის მონასტერში, 978-988 წლებში შეადგინა ქართული და ზოგადად ქრისტიანული კულტურის უნიკალური ძეგლი - „ნევმირებული იადგარი“. ამ კრებულში მან თავი მოუყარა იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებულ მთელ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს - როგორც ბერძნულიდან თარგმნის, ისე ორიგინალურს. მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ეს კრებული „მეხური იადგარია“. როგორც დღეისათვის უკვე გარკვეულია, „მეხელები“ ერთდროულად იყვნენ პროფესიონალი მუსიკოსები და პოეტები (მეტრეველი, 1971: 050-051). ეს იყო უნიკალური თაობები, რომელთა შესახებ გიორგი მთაწმიდელი წერს: „მეკელნი ჩემსა უფროსს არავის უყუარან. მოძღურად მყუანან და ღმერთთმემოსილად“.

„მიქაელ მოდრეკილის იადგარი“ უნიკალურია იმ მხრივაც, რომ შეიცავს უძველეს სანოტო ნიშნებს - ნევმებს. ესაა „ნევმირებული იადგარი“. მიქაელი, ისევე, როგორც სხვა „მეხელები“, თავად იყო მის მიერ შექმნილი საგალობლების როგორც ტექსტების, ისე მელოდების ავტორი, მუსიკაზე გამწეობი. ეს იყო ურთულესი საქმე, რასაც გიორგი მთაწმიდელი „დასდებლის მეცნიერებას“ უწოდებს (მეტრეველი, 1971: 046).

მიქაელ მოდრეკილი ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორიცაა. „იადგარში“ მას ეკუთვნის ოთხი საგალობელი, რომლებთანაც ავტორი სხვადასხვა წესითაა აღნიშნული.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს „წმიდა მამათა საგალობელი“. საგალობლის ტექსტი გამოქვეყნებულია პ. ინგოროყვას მიერ (ინგოროყვა, 1913: სმზ-სნზ). საგალობელი დადებულია 22 იანვარს (ძველი სტილით). მას ერთვის შემდეგი სათაური: „ესენებად ყოველთა წმიდათაძ მუელისა და ახლისა შჯულისანი“:

ანგელოზთა მთავართა, ანგელოზთა, მამამთავართა, წინაღწარმეტყუელთა, მოწამეთა, მღდელთმოდღუართა და მამათანი, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა... დასდებლნი, თქუმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი“.

ეს რიცხობრივი აღნიშვნები იძლევა ავტორის სახელს - მიქაელ (კეკელიძე, 1980: 176).

მიქაელ მოდრეკილის ეს საგალობელი, გარკვეული თვალსაზრისით, შეისწავლა ლ. ზაალიშვილმა სამაგისტრო ნაშრომში, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა (ზაალიშვილი, 2021: 191-254).

ჩვენთვის ეს საგალობელი საინტერესოა აქამდე სრულიად შეუსწავლელი - ლიტურგიკული თვალსაზრისით.

საგალობელი წარმოადგენს ჰიმნოგრაფიულ კანონს. კანონი სრულია - შეიცავს II ოდას - „მოიხილესა“. ეს ბუნებრივია, რადგან კრებულზე დართულ ერთ-ერთ ანდერძში მიქაელი კანონის ამ ოდას აუცილებლად - „სრული განგების“ ნაწილად მიიჩნევს.

საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით ამ მეტად საყურადღებო საგალობელს ერთვის არანაკლებ საინტერესო ანდერძი, რომელშიც მიქაელ მოდრეკილი აჯამებს მის მიერ საგალობელში მოხსენიებულ პირებს - „ანგელოზნი (20), მამამთავარნი (37), წინაღწარმეტყუელნი (25), მსაჯულნი (7), მოციქულნი (82), მოწამენი (100), მღდელთმოდღუარნი (62), მამანი (52), დედანი (40), ხოლო ყველა ერთად („ერთრიცხუედად ყოველნი“) - 425“ (ინგოროყვა, 1913: სმზ).

ამრიგად, საგალობელში მოხსენიებული და ანდერძში შეჯამებულია 425 ხსენება, მათ შორის 100 მოწამის, რომელთა შორის არიან ქართველი მოწამენი - წმ. შუმანიკ

დედოფალი, ცხრა ძმა კოლაელნი, დავით და ტირიჭანი დედასთან ერთად, აბო თბილელი და წმინდა ნინო.

**აღნიშნული ანდერძი, ვფიქრობთ, აშკარად მოწმობს, რომ ჩვენს თვალწინაა „მიქაელ მოდრეკილის კალენდარი“ – 425 ხსენებით, რომლებიც დაჯგუფებული და კლასიფიცირებულია მის მიერ.**

ჩნდება კითხვა – რას ეყრდნობოდა ამ კალენდრის შემდგენელი?

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი ამავე საუკუნეში მოღვაწე უდიდესი სწავლულის – იოანე – ზოსიმეს „კალენდარი“. ძველი პირველად გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი, 1947: 200-226). კ. კეკელიძემ განსაზღვრა ამ უნიკალური ტექსტის მნიშვნელობა და ოთხი წყარო: კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, საბაწმიდის და ე.წ. „ქართული კანონი“ (კეკელიძე, 1980: 168). ამას ემატება სინური ტრადიცია, რადგან იოანე – ზოსიმე სინას მთაზეც მოღვაწეობდა.

„იოანე – ზოსიმეს კალენდარი“ მეცნიერულად გამოსცა და შეისწავლა დიდმა ბელგიელმა მეცნიერმა – ჟერარ გარიტმა (Garitte, 1958). მისი აზრით, ეს კრებული შედგენილი უნდა იყოს საბაწმიდაში, 973 წლამდე (Garitte, 1958: 19).

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორ „კალენდარს“ შორის ბევრი რამ აღმოჩნდა საერთო. ამავე თარიღზე – 22 იანვარს „იოანე-ზოსიმეს კალენდარში“ გვხვდება „ქსენება ყოველთა წმიდათა, რომელნი მოდღესამომდე მარტულებულ არიან...“

როგორც ვხედავთ, ეს ხსენება მიქაელ მოდრეკილის საგალობლის ანალოგიურია: „ქსენება ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა შჯულისანი“.

ამრიგად, როგორც საბაწმიდურ, ისე ტაო-კლარჯეთის მონასტრებში (კერძოდ, შატბერდში, სადაც „მიქაელ მოდრეკილის იადგარია“ შედგენილი) 22 იანვარს „ყოველთა წმიდათა“ ხსენება აღესრულებოდა. „იოანე – ზოსიმეს იადგარის“ გამოცემაზე დართულ კომენტარში ჟ. გარიტი აღნიშნავს, რომ „ეს („ყოველთა წმიდათა“) დღესასწაული უცნობი იყოს ბერძნებისთვის. მსგავსი დღესასწაული გვხვდება მხოლოდ ზატიკის შემდგომ კვირას (Garitte, 1958: 139). **აღნიშნულ ორ ქართულ კალენდარში კი ეს ხსენება მტკიცედ დამკვიდრებული ჩანს.**

რა ვითარებაა ამ მხრივ წინადროინდელ ქართულ ტრადიციაში?

„უძველეს იადგარში“, რომელიც შეიცავს VI-IX საუკუნეების მრავალრიცხოვან საგალობლებს, 22 იანვარს რაიმე ხსენება არაა დაწესებული (უძველესი იადგარი, 1980). ზოგადად, 17 იანვრიდან 28 იანვრამდე აქ კალენდარული მაჩვენებლები არ გვხვდება.

განსხვავებული ვითარებაა „უძველეს ლექციონარში“, რომელიც კიდევ უფრო არქაული პერიოდის ლიტურგიკულ წესებს შეიცავს. კერძოდ, 22 იანვარს „იერუსალიმურ ლექციონარში“ გვხვდება შემდეგი განწესება: „ქსენება ყოველთა მოწამეთა, რომელნი სტეფანსითან ვიდრე დღენდელად დღემდენ წამებულ არიან (Иерусалимский Канонарь, 1912: 51).

„იერუსალიმურ ლექციონარში“ ამ ხსენების არსებობა მოწმობს, რომ ის ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში ძველთაგან ყოფილა დაწესებული.

„მიქაელ მოდრეკილის კალენდარი“ „ლექციონარისა“ და „უძველესი იადგარისგან“ იმითაა განსხვავებული, რომ მასში გვხვდება არა მხოლოდ ეს ხსენება, არამედ მთელი საგალობელი – ჰიმნოგრაფიული კანონი, სადაც ჩამოთვლილია ძველი და ახალი სჯულის „ყოველთა წმიდათა“ სახელები და ზოგ შემთხვევაში, წარმოდგენილია თავად მიქაელის მიერ მათდამი მიძღვნილი ტროპარებიც. ეს უდიდესი შრომაა, რომელიც მიქაელ მოდრეკილს გაუწევია ყველა ამ წმინდანის დასადგენად და დასაჯგუფებლად.

ამრიგად, ამ საგალობლის სახით, ჩვენს თვალწინაა ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლი – კალენდარი, რომელიც თავისი სისრულით აღემატება ამ ტიპის სხვა კრებულებს.

რა წყაროებით სარგებლობდა მიქაელ მოდრეკილი ამ „კალენდრის“ შედგენისას?



„ყოველთა წმიდათა ხსენება“, ჟ. გარიტის მიხედვით, ბერძნულ ტრადიციაში არ ჩანს, ამიტომ მას ვერ ვეძებთ მიქაელ მოდრეკილის თანამადროვე ბიზანტიურ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში.

წინადროინდელ ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულებიდან მსგავსი ხსენება გვხვდება დიდმარხვის წინ, ხორციელის შაბათს - „საუკუნითგან შესუენებულთა მამათა და ძმათა ჩუენთაჲ“. ამ დღეს „მარხვანში“ საგალობელთა მთელი ჯგუფია განწყესებული, მაგრამ არცერთ მათგანში წმინდანთა სახელები დაკონკრეტებული, ჩამოთვლილი არაა. ასე რომ, მიუხედავად მსგავსი ხსენებისა, „მარხვანი“ არ არის მიქაელ მოდრეკილის წყარო.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მიქაელ მოდრეკილის „კალენდარის“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა იყოს „კიმენის“ სახელით ცნობილი უნიკალური ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელშიც დაცულია ძველი დროის მოწამეთა პირვანდელი, „ხელმეუხებლად მდებარე“ ტექსტები. ქართულ ენაზე შემონახული ამ კრებულის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ზუსტად განსაზღვრა კ. კეკელიძემ (კეკელიძე, 1980: 505-506). მანვე გამოსცა ქრისტიანული მწერლობის ამ უძველესი ნიმუშების ქართული თარგმანები (კიმენი, 1918; 1946).

მიქაელ მოდრეკილის ამ საგალობელში ჩამოთვლილი მოწამეების ერთი ჯგუფის სახელები და მათი ღვაწლის ამსახველი უძველესი ჰაგიოგრაფიული ტექსტები სწორედ „კიმენში“ აღმოჩნდა დაცული. ასე მაგ., მიქაელის „კალენდარში“, VIII გალობაში მოხსენიებულია წმ. მოწამე - მენა. ესაა წმ. მოწამე მენა ფრიგიელი (+304), რომლის კიმენური „მარტვილობა“, ფრაგმენტული სახით, დაცულია ქართულ თარგმანში - Sin-11 (1r-8r).

მიქაელის „კალენდარში“, VIII გალობაში, მოხსენიებული არიან შემდეგი წმინდანები: ანდრონიკე და მისი მამა პავლე, ბილონი, თეონი, ერნონი...“ მათი სახელები და „მარტვილობები“ შესულია „კიმენში“. მცირე განსხვავებაა მხოლოდ საკუთარ სახელთა მართლწერაში: „მარტვილობა პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყვასთა მისთა“ (კიმენი, 1946: 17-26).

ასევე „კიმენში“ იძებნება სახელები და „მარტვილობა“ მიქაელის „კალენდარში“, VIII გალობაში მოხსენიებული „ლეონტისი“ (კიმენი, 1946: 59-63).

ასეთი „დამთხვევები“ მრავლადაა, რაც, ვფიქრობთ, ნათლად მოწმობს, რომ სწორედ ქართულ ენაზე შემონახული უძველესი კიმენური ტექსტებია მიქაელ მოდრეკილის „კალენდარის“ ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ამ ტექსტებში აღწერილი წმინდანების ცხოვრებათა აღწერა იმის დადგენის საშუალებასაც იძლევა, რატომ მიიჩნია საჭიროდ სწორედ მათი სახელების ხსენება მიქაელ მოდრეკილმა.

ამ წმინდანებთან ერთად, „მიქაელ მოდრეკილის „კალენდარში“ გვხვდება ქართველი წმინდანების ხსენებებიც:

კანონის VII გალობაში მოხსენიებულია წმ. შუმანიკი. მას მიქაელი უწოდებს „მწნეს“, რაც, ვფიქრობთ, ზუსტად გამოხატავს მისი ხანგრძლივი მარტვილობის საზრისს.

საყურადღებოა, რომ „მწნე შუმანიკთან“ ერთად, ამავე გალობაში, მოიხსენიებიან სომხეთის ეკლესიის წმინდანები - რიფსიმე და გაიანე, რომლებიც „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, გარკვეულ პერიოდში, წმ. ნინოს თანამგზავრებიც იყვნენ.

ეს ხსენებები „კალენდარში“ ასეა წარმოდგენილი:

„შევამკობდეთ გაიანეს და რიფსიმეს და მწნესა შუმანიკს მათ თანავე ვაქებდეთ“.

„კალენდარში“, VIII გალობაში, მოხსენიებული შემდეგი ქართველი წმინდანები არიან ყრმა მარტვილები - ცხრა ძმა კოლაელნი:

„სარწმუნოებით შევამკობდეთ დღეს...“

იოვანეს და ჰრომანოზს და ცხრათა ყრმათა...“

მათ გარდა, ამავე (VIII) გალობაში დასახელებული არიან ქრისტიანული ეკლესიის სხვა ცნობილი წმინდანები. ეს ჩამონათვალი მთავრდება დავითისა და ტირიჭანის ხსენებით. საინტერესოა, რომ მათთან ერთად განდიდებულია „მორწმუნე დედა“:

**„დავითს და ტირიჭანს დედიტურთ მათით მორწმუნით“.**

ყრმა მარტვილების - დავითისა და ტირიჭანის „მარტვილობის“ შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული, განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული (კეკელიძე, 1980: 518-519). ვფიქრობთ, საყურადღებოა მიქაელ მოდრეკილის მიერ მათი ხსენებების შეტანა „კალენდარში“. საინტერესოა ისიც, რომ მათთან ერთად, წმინდანადაა მოხსენიებული მათი დედაც.

კანონის VIII გალობაში, ქრისტიანული ეკლესიის სხვა წმინდანებთან ერთად, მოხსენიებულია წმ. აბო:

„არეთა მცნეო, კრებულთ შენითურთ მოღუაწით...“

**ჰაბოის თანა,**

მეოხ-გუეყვენით“.

წმ. აბოს ხსენებას, როგორც წესი, ვხვდებით ყველა სხვა „კალენდარში“, მათ შორის, იოანე-ზოსიმესთანაც. ის ძველთაგანვე სათანადოდ განდიდებული წმინდანია საქართველოს ეკლესიაში.

კანონის VII გალობაში საგანგებოდაა შექმნილი ქართველთა განმანათლებელი- წმ. ნინო, რომელსაც ავტორი აღმატებული ეპითეტებით ამკობს - „ქრისტეს სძალს“, „ვარსკულავსა მნათობსა“ და „კერპთა სიბნელისა მოტებელს“ უწოდებს:

„სძალსა ქრისტესა ნინოს,

ქართლისა ქადაგსა,

ვარსკულავსა მნათობსა, საღრთოფთა მით ნათლითა

კერპთა სიბნელისა მოტებელსა“.

კალენდრის ტიპის კრებულისათვის, რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ სახელთა ჩამოთვლას ითვალისწინებს, ეს ტროპარი საკმაოდ სრულ მიძღვნად უნდა ჩაითვალოს. **წმ. ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებს შორის ეს ტროპარი გამოქვეყნებული არ არის, რაც ამიერიდან მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.**

ქართველ წმინდანთა სახელები და მათი განმადიდებელი ტროპარ-ეპითეტები სწორედ წმ. ნინოს ხსენებით იწყება.

ამრიგად, „მიქაელ მოდრეკილის იადგარში“ დაცული „წმიდა მოწამეთა საგალობელი“ წარმოადგენს ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილ მნიშვნელოვან ნაშრომს - „კალენდარს“. მისი მოღვაწეობის ეს სფერო აქამდე არ იყო ცნობილი.

**დასკვნა.** მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი უნიკალური კრებული - „ნევმირებული იადგარი“ მნიშვნელოვანია მისი, როგორც ჰიმნოგრაფისა და ლიტურგისტის მოღვაწეობის შესწავლისათვის. „იადგარში“ დაცული „ყოველთა წმიდათადმი“ მიძღვნილი ვრცელი ფორმის საგალობლის შესწავლამ ცხადყო, რომ ის, ფაქტობრივად, წარმოადგენს „კალენდარს“, რომელიც შეიცავს 425 ხსენებას. ამ ხსენებების ერთი ნაწილი ემთხვევა იოანე-ზოსიმეს მიერ ამავე საუკუნეში შედგენილ ანალოგიურ კრებულს. მათ შორისაა თავად „ყოველთა წმიდათა“ ხსენება, რომელიც ბიზანტიურ ტრადიციაში არ ჩანს, ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში კი, როგორც ირკვევა, მტკიცედ ჩანს დამკვიდრებული ძველთაგან. „მიქაელ მოდრეკილის კალენდარი“ სხვა მსგავსი ტიპის კრებულებისგან განსხვავდება არა მარტო ხსენებათა სიმრავლით, არამედ იმითაც, რომ ზოგ შემთხვევაში, წარმოდგენილია თავად მიქაელის მიერ მათდამი მიძღვნილი ტროპარებიც. ეს უდიდესი შრომაა, რომელიც მიქაელ მოდრეკილს გაუწევია ყველა ამ წმინდანის დასადგენად და დასაჯგუფებლად. მათ შორის არიან ქართველი მოწამენიც.

მიქაელ მოდრეკილის „კალენდარის“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა იყოს „კიმენის“ სახელით ცნობილი უნიკალური ჰაგიოგრაფიული კრებული.

მიქაელ მოდრეკილის, როგორც მნიშვნელოვანი ლიტურგიკული ძეგლის - „კალენდარის“ შემდგენელ - რედაქტორობა აქამდე არ იყო ცნობილი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

ზაალიშვილი, ლ. (2021). *მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ და „წმიდა მამათა საგალობელი“*. გრაგნილი. ტ. 8. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ინგოროყვა, პ. (1913). *ძველ-ქართული სასულიერო პოეზია*. თბილისი.

*კიმენი*. (1918). ნაწილი პირველი. ტომი I. კ. კეკელიძის გამოცემა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

*კიმენი*. (1946). ნაწილი პირველი. ტომი II. კ. კეკელიძის გამოცემა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მეტრეველი, ე. (1971). *ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

*უძველესი იადგარი*. (1980). გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯავახიშვილი, ი. (1947). *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

*Иерусалимский Канонарь*. (1912). изд. К. Кекелидзе. Тифлисъ.

Garitte, G. (1958). *Le Calendrier Palestino-Géorgien du Sinaiticus 34*. Bruxelles.

#### REFERENCES:

zaalishvili, l. (2021). *mikael modrek'ilis „iadgari“ da „ts'mida mamata sagalobeli“*. *gragnili [Topology by Mikael Modrekili and Hymn to “All Saints”. Gragnili]*. t'. 8. Tbilisi: Publishing House „Meridiani“.

ingoroqva, p'. (1913). *dzvel-kartuli sasuliero p'oezia [The Old Georgian Ecclesiastical Poetry]*. Tbilisi.

*k'imeni [Keimena]*. (1918). Part I, Volume I. Editor K. Kekelidze. Tbilisi. Publishing House of Georgian Academy of Sciences.

*k'imeni [Keimena]*. (1946). Part I, Volume II. Editor K. Kekelidze. Tbilisi: Publishing House of Georgian Academy of Sciences.

k'ek'elidze, k'. (1980). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [The History of Old Georgian Literature]*. I. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

met'reveli, e. (1971). *dzlisp'irni da ghmrtismshoblisani [Hirmoi and Theotokia]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

*udzvelesi iadgari [The Oldest Tropologion]*. (1980). Prepared for publication, research and indexes added by El. Metreveli, Ts. Tchankievi and L. Khevsuriani. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

javakhishvili, i. (1947). *sinis mtis kartul khelnats'erta aghts'eriloba [Description of the Georgian Manuscripts from Sinaitic Collection]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

*Ierusalimskij Kanonar' [Иерусалимский Канонарь]*. (1912). Pub. K. Kekelidze. Tiflis.

Garitte, G. (1958). *Le Calendrier Palestino-Géorgien du Sinaiticus 34*. Bruxelles.